

დოქტორები სადღა პიროვნებით!

როგორც ჩანს საქართველოს ძიუდოსტთა საკრებოს ხელმძღვანელობამ მართვის სწორ და, რაც მთავარია, ოპტიმალურ ვარიანტს მიიღო: სხვადასხვა საერთაშორისო ტურნირში მცირე ძალებით მონაწილეობის გამოწვევას ცალკეულ სპორტსმენთა შესაძლებლობებს იმ ანგარიშით, რომ სეზონის მთავარ შეჯიბრებებს მაქსიმალურად მომზადებული შეხვდეს. წლებულს კი ასეთი ტურნირი ორად — ევროპისა და მსოფლიოს ახალგაზრდული პირველობები ასაკში, რომლებსაც პირობითად და სასებით სამართლიანად, ოლიმპიურს უწოდებენ (1974-76 წლებში დაბადებულნი).

ერთი ასეთი „მოსამზადებელი“ ტურნირი ამ დღეებში ბერლინში მოეწყო — გერმანიის ლიანჩენგოში, რომელშიც 19 სხვადასხვა ქვეყნის მოჭიდებულნი ერთად საქართველოც იყო მიწვეული. ჩვენები უცხოეთის ტაბლეტზე უტოკიანი „მინი-გუნდით“ წარსდგნენ, რომელშიც ორი ახალბედა (ანმეტელი მერაბ იოსებაშვილი და თვალაველი ლევან ჯაფარიძე) და სამი მეტ-ნაკლებად „მემოწმებულ“ ძიუდოსტი გამოდიოდა (საგარეოელო გოგიტა რევაზიშვილი, დუშელი ივერი ჯიჭურაული და თბილისელი ლევან ციგრაიშვილი).

ჯერ რამდენიმე სიტყვა ტექნიკურ შედეგებზე: ახალბედებს, ბუნებრივია, გამოცდილება არ ეყოთ და იდრევე გამოეთიშნენ ბრძოლას — იოსებაშვილი (60 კგ) მეორე, ხოლო ჯაფარიძე (+95 კგ) და ციგრაიშვილი (78 კგ) პირველი წრის შემდგომ. თან იმასაც უნდა გავსვას ხახი, რომ ჯაფარიძემ, საერთოდ, პირველად იჭიდავა საზღვარგარეთ.

გოგიტა რევაზიშვილისაგან (65 კგ) უთუოდ მოველოდით წარმატებას და ნიჭიერმა ახალგაზრდამ გაამართლა კიდევ. 47 მონაწილეში ყველა ხუთი შეხვედრა წმინდად მოიგო, ფინალში გერმანელ კრისტინ კონცს აჯობა და პირველი ადგილი დაისაკუთრა.


ნაკრების ხელმძღვანელობა კმაყოფილი დარჩა ივერი ჯიჭურაულის (86 კგ) გამოვლითაც, თუმცა, მას მესამე ადგილზე უკეთესი შედეგის ჩვენებაც შეეძლო. მაგრამ ეს უკვე გამოცდილების დევიციტის ბრალია, თორემ ფინალში გასასვლელ ორთაბრძოლას რუს ნიკოლაი მოროზოვთან (ევროპის ჩემპიონთან) ჯიჭურაული არაფრით არ დათმობდა, ვინაიდან მთელი 4 წუთის მანძილზე ფელობდა ინიციატივას და შეხვედრას დამაჯერებლად იგებდა.

ახლა რამდენიმე სიტყვა ამ შეჯიბრების ანგარიშზე, ეკონომიკურ ასპექტზე. რა დასაძალია და, ჩვენთვის, დღესდღეობით სპორტსმენთა მომზადებაც პრობლემა და მათი შეჯიბრებებზე გაგზავნაც. უსახსრობა, ეკონომიკური სიღატაკიერე თვის ინფს ყოველ ნაბიჯზე, სწორედ ამიტომ, მადლობის მეტი არაფერი გვეთქმის ახმეტისა და თვალაველის რაიონების ხელმძღვანელობის მიმართ, რომლებმაც მერაბ იოსებაშვილი და ლევან ჯაფარიძე თავიანი ხარჯით გაავაზენეს ბერლინში. ქვეყანა ნამდვილად კეთილი და პატრიოტი ხალხი არსებობს.

გუნდის დანარჩენ წევრთა დაფინანსება მოხდა ადრე სპორტის დეპარტამენტის მიერ გამოყოფილი თანხების და ზოგვის ხარჯზე. ნაკრების უფროსი მწვე-

რთველის ბიძინა მაზიაშვილის თქმით, ჭიდაობასთან ერთად მომჭირნედ, ეკონომიურად ცხოვრება უნდა ვისწავლოთ და ყოველი კამპი ყაირათიანად ვხარჯოთ. მაგრამ ნების ყუნწშიც რომ გავცვრეთ, მაინც არაფერი გვიშველის, თუ დახმარება გარედან, მოამაგე ხალხის მხრიდან არ მოვიდა.

ამასთან დაკავშირებით უპრინიპია იმავ ბიძინა მაზიაშვილს მოვუსმინოთ:



— ხალხი, რომელსაც დღეს ცივილიზებულიად სპონსორებს უწოდებენ, დემერითა ნუ მოგვიშლის. ძიუდოში, მაგალითად, დიდ და საშვილიშვილო საქმეს აკეთებს ან ზორ ქიბროწყაშვილი. ან ზორი თავად დიდებული სპორტსმენი იყო და ვალდებულიც არის, იტყვიან ზოგიერთები. სპორტსმენები სხვებიც იყვნენ და დღეს საკმაოდ მხრებამართულნიც არიან, მაგრამ ჩვენსკენ, რატომღაც არ

იყურებიან. როგორმე მათი ყურადღება უნდა მივიპყროთ. არის კეთილი ხალხი, რომლებსაც არც უჭირდათ და არც სპორტში უმუშაოთ, დახმარებას კი უნდა გაროდ გვიწვევენ. ესენი — განსაკუთრებული ომარ ბაზიერი, მისი მოადგილე ზაალ ჟვანია; პატრიოტი, სპორტის მოყვარული ხალხი. ესაა შიდაქართლის „მხედრობის“ ხელმძღვანელი ნოდარ ჯარაიძე, ესაა კომერციული „დაბანკის“ ხელმძღვანელობა და ბოლოს, ესაა ბიზნესმენი მიხეილ სიმონიშვილი, თუმცა... ურე იგი მოჭიდავე იყო და ჩვენს გაჭირებაში კარგადაა ჩახედული.

რა ჯდება ერთი კაცის გამზავრება საზღვარგარეთ? — კეთილხერ საუბრის დასასრულს ნაკრების უფროს მწვერთვს. გაანია ვინ გიწვევს და რომელ ქვეყანაში მიემგზავრები. მაგალითად, ევროპის რომელიმე ქვეყნის ხარჯზე თუ ხარ მიმატიკებელი შეჯიბრებაში ეს იმას ნიშნავს, რომ ის იღებს თავის თავზე სასტუმროსა და კვების ხარჯებს. ერთი სპორტსმენის გამგზავრება 500 დოლარამდე ჯდება, თუ ჩვენი ხარჯით მიემგზავრები, ცხადია, უფრო მეტი, დაახლოებით 700-800 დოლარი. განსაჯეთ თავად, რადღეშია სპორტი და როგორი „გმირობა“ საჭირო ნებისმიერ შეჯიბრებაზე გასამგზავრებლად.

რაგბი ლალოს სააშოკოვის „ოთხი დღე საერთაშორისო“

ეს სიტყვები ჭეშთისდ ნორჩ მორაგბეთა მწვრთნელს, დიმიტრიას ეკუთვნის ასე შეაფასა მან სენაკის რაიონის სოფელ ნოქალაქეში გატარებული ოთხი დღე რაიონის განავლობაში აქ 1982-83 წლებში დაბადებულ ნორჩ მორაგბეთა ტურნირი გაიმართა. ტურნირში თბილისის სამი („ქორები“, „თბილისი“ და „რკუნის“), ქუთაისის ერთი (სპორტსკოლა) და სოფელ ნოქალაქის ორი („ჩინა-1“ და „ჩინა-2“) გუნდი მონაწილეობდნენ.

ნოქალაქის მორაგბეთა გამოჩენა სპორტულ სარბილზე გასაკვირი არ უნდა იყოს უკვე ერთი წელია მსოფლიო სოფელს დაუბრუნდა ცნობილი ქართველი მორაგბე დავით კოლასონია, რომელმაც სხვა სასიკეთო საქმეებთან ერთად არც რაგბი დაივიწყა და ახალგაზრდა მწვრთნელ მალხაზ ჯარასთან ერთად ამ თამაშს აწარმო ტენისის-პირელი ნორჩები.

ორიგინალურად გადაწყდა სტუმართა დაბინავებისა და კვების საკითხი. ნორჩმა მასპინძლებმა თავიანთ სახლებში მიიწვიეს თბილისელი და ქუთაისელი თანატოლები, ხოლო მწვრთნელთა კორპუსს თავად ბატონმა დავითმა უმასპინძლა. უნდა აღინიშნოს სოფლის თანაცავით თანადგომა ამ კეთილშობილურ საქმეში.

თამაშებიდან თავისუფალ დროს ბავშვებმა დათვალაირეს ციხე-გოჭი, ნოქალაქის არქეოლოგიური მუზეუმი. გული იქვე

რეს ტურნირში ბანაობით. პირველი ოთხი ტური ბანისა და ნოქალაქის სტადიონებზე გაიმართა. შემდეგ შეხვედრებს სენაკის ცენტრალურმა სტადიონმა უმასპინძლა. თამაშებიც მეტად საინტერესოდ და დაძაბულად წარიმართა უკვლას აჯობა ქუთაისის სპორტსკოლამ. მეორე „ჩინა-2“ იყო, მესამე — თბილისის „ქორები“. ამ გუნდებს გადაეცათ სპანსოვრო პრიზები.

დაქოლდოვდნენ აგრეთვე საუკეთესო მოთამაშეები: ზ. ზალიშვილი (თბილისი), ნ. ჩიტაძე (რკუნის), ი. გვანცელაძე (ქუთაისი), გოგობია („ჩინა-2“), ბ. კაკია („ჩინა-1“), შალვა პაპაშვილი („ქორები“) და ტურნირის ყველაზე უმცროსი მონაწილე ვ. კილასონია („ჩინა-1“). მორაგბე და მხატვარმა ვალონტამ თავისი ნამუშევარი საჩუქრად გადასცა კლუბ „ჩინას“.

ტურნირის მსაჯობა და საქართველოს რაგბის კავშირის მსაჯთა კოლეგიის თავმჯდომარე გოჩა აბაშიძე. მალე გაირბინა ზღაპრულმა ოთხმა დღემ, ნორჩები თავადკრემლიანი ეშვიდობებოდნენ ერთმანეთს.

ეს მართლაც დაუვიწყარი დღეები იყო ტურნირის ყველა მონაწილისათვის.

• ალექსანდრე მჭედოვსკი, საქართველოს რაგბის კავშირის, აღმასრულებელი დირექტორი.

სპორტმა კერძო უაღვლესიას მიუახლოვდა

არაინ იცის რა დონეზეა, რა მოცულობით, როგორ, სად ატარებენ კერძო უმაღლეს სასწავლებლებში მეცადინეობებს სტუდენტთა ფიზიკურ მომზადებაში, არადა, ეს სულაც არ გახლავთ მეორეხარისხოვანი საქმე. დრო აღბათ ამ საკითხსაც მოეწინა სათვალს, მანამდე კი ერთი სასინარულო ამბავი მიხდა გეოქოლოგთა: ამ დღეებში, თბილისში, ხელშეწყობის სპორტულ დარბაზში (გლდანის) იურიდიულ-ფსიქოლოგიური ინსტიტუტის თაოსნობით მოეწყო მინიფებურთელთა პირველი ტურნირი კერძო უმაღლეს სასწავლებლებს შორის. მონაწილეობდა შეიდი გუნდი ხუთი უმაღლესი სასწავლებლიდან. ასეთ წამოწყებას უთუოდ ესაჭიროებოდა მხარდაჭერა და გენერალური სპონსორის ფუნქცია იყისრა საზოგადოება „მოზარდმა“ (ეკუთვნის შინაგან საქმეთა სამინისტროს), რომელმაც გლდანის რაიონის გამგეობასთან, მოქა-

ლაქეთა ახალგაზრდული კავშირის რაიონულ ორგანიზაციასთან და განათლების განყოფილებასთან ერთად მალე დონეზე ჩაატარეს ტურნირი, არბიტრებიც კი მსაჯთა ასოციაციიდან მოიწვიეს (თ. ლაცაბიძე, ო. გუნთაძე, კომისარი — ა. ყურუაშვილი და სხვ.) დაწესდა მრავალი პრიზი. მთავარი გილდო გადაეცა ბერძნულ-ქართული ინსტიტუტის გუნდს „მაკედონიას“, რომელმაც ფინალში „გაიანას“ აჯობა.

ამიერიდან ტურნირს გაუმართავთ ყოველწლიურად, სასწავლო წლის ბოლოს, ფინალი კი ყოველ 26 მაისს მოეწყობა. ახალ სასწავლო წლის დასაწყისში კერძო უმაღლესი სასწავლებლების პირველ სპორტაკიდასაც ჩავატარებთ, თანამდგომნი გამოგვიჩვენებინ — გვითხრა საზოგადოება „მოზარდის“ იურიდიულ-ფსიქოლოგიური ინსტიტუტის რექტორმა ქალბატონმა ნინო ნიშნიანიძემ. უდავოდ სასიკეთო თაოსნობაა. **დავით მუხრანი**

რა ჯდება „ქასპაროვის ფრონტზე“

საკადრაკო საქართველოში ასე თავისებურად და მწვავედ საკითხი არასოდეს დასმულა: ზოგ წამყვან დიდოსტატს მსოფლიო ჩემპიონ (პროფესიული საკადრაკო ასოციაციის ვერსიით) ვარი კასპაროვთან უფრო „მოწვევდა ხელი“, ზოგს — მსოფლიო ჩემპიონ (ფიდეის ვერსიით) ანატოლი კარპოვთან, ზოგს კი ერთთანაც და მეორესთანაც ახლა დარჩა ორი პრეტენდენტი იმ მცირერიცხოვან შემორჩენილთაგან, რომლებსაც ერთდროულად კასპაროვის დამხობაც სურთ და კარპოვისაც, „ორივე ფრონტზე“ სადღისოდ ბრძოლას აგრძელებენ ვიშვანათან ანანი (ინდოეთი) და გატა კასპი (აშშ).

სულ ახლანან ნოე-იორკში დამთავრდა „კასპაროვის ფრონტზე“ მებრძოლი პრეტენდენტების მეოთხედფინალური მატჩები. როგორი შედეგებით დამთავრდა ისინი?

გატა კასპი (აშშ) — ვლადიმერ კრამნიკი (რუსეთი). ამ მატჩამდე კრამნიკი ორჯერ სპორტულად იყო — კასპაროვთან ბრძოლის შესაძლებლობასაც ინარჩუნებდა და კარპოვის წინააღმდეგაც, მას კასპისზე უკეთესი კოეფიციენტი ჰქონდა, მაგრამ ექსპერტებს მეტოქეები მაინც თანაბარი ძალის მოჭადრაკეებად მიიჩნდათ. ზოგი ექსპერტი კასპაროვის სიტყვებსაც იხსენებდა, რომელიც კრამნიკს თავის მშრმაღალ მეტოქედ მიიჩნევდა.

ეს სიტყვები არ გამართლდა — კრამნიკმა კასპისთან მძიმე მარცხი იგება. ამ მატჩში ნამდვილი ბრძოლა არც ყოფილა, ამერიკელმა მოიგო პირველი და მეორე პარტიები, უპირატესობა არც მეორე დაუკარგავს და საბოლოოდ დამაჯერებლად გაიმარჯვა: 4,5:1,5.

ვიშვანათან ანანი (ინდოეთი) — ოლეგ რომანიშინი (უკრაინა). ახლა აღარაინ კამათობს, რომ ინდოელი თანამედროვეობის 1x3 მოჭადრაკეა კასპაროვისა და კარპოვის შემდეგ. ანანიდა თამაშობს ძალიან სწრაფად, საერთოდ, არ იცის რა არის ცაიტოტი, მისი თეორიული „მაზაც“ თანდათან უმჯობესდება. საინტერესოა, რომ ანანიდა წლის განმავლობაში ძალიან ბევრს თამაშობს, არ მარცხდება, ცალკეულ შემთხვევებში იგი კასპაროვსაც უსწრებს და კარპოვსაც.

ანანიდა ამჯერად თავისი ტრიუმფული წინსვლა გააგრძელა. უკრაინელმა დიდოსტატმა მას მხოლოდ პირველ ორ პარტიაში გაუწვია შესაფერისი წინააღმდეგობა, მესამე პარტია ანანიდა მოიგო და ბოლოს დამაჯერებელ გამარჯვებას მიაღწია — 4,5:2,5.

ნაივლ შორტი (ინგლისი) — ბორის გულკო (აშშ). გარი კასპაროვის შეფასებით, შორტი ტიპური სამატჩო მებრძოლი გახლავთ, ტურნირებში კი წარუმატებლად თამაშობს და კოეფიციენტიც არც ისე მაღალი აქვს. როდესაც საქმე ერთი-ერთზე მატჩებამდე მიდის, ინგ-

ლისელს სულ სხვა გრძობა ეუფლებია, შეუდრეკელი ხდება და წარმატებასაც აღწევს.

ბორის გულკო, რომელიც უწინ საბჭოთა კავშირის ჩემპიონი იყო, შემდეგ კი აშშ-ის ჩემპიონიც, ცნობილია იმით, რომ პირად შეხვედრებში დიდი უპირატესობა აქვს კასპაროვთან (3,5:0,5). ამჯერად მისი მატჩი შორტთან, სადაც ინგლისელი ორჯერ იყო წინ, ძირითადი 8 პარტიის შემდეგ თანაბარი ანგარიშით დამთავრდა — 4:4. დაინიშნა დამატებითი შეხვედრები შეკვეცილი კონტროლით. აქ კი შორტი უპირატესობა ჰქონდა და ნახევარფინალშიც ის გავიდა.

მაიკლ ადამსი (ინგლისი) — სერგი ტივიაკოვი (რუსეთი). ჩამოთვლილი დიდოსტატებისა არ იყოს, ახალგაზრდა ინგლისელიც „ორ ფრონტზე“ იბრძოდა, მაგრამ „კარპოვის მიმართულებით“ მოძრაობა შეწყვიტა — იანვარში გელფანდთან დამარცხდა. ადამსი მეტისმეტად ენერგული და თეორიულად კარგად მომზადებული მოჭადრაკეა, ნამდვილი პროფესიონალი.

სერგი ტივიაკოვი, კრასნოდარელი დიდოსტატი, ახალი კაცია ასეთ „მაღალ საზოგადოებაში“. იგი ადამსთან პირველ პარტიაშიც დამარცხდა და მეორეშიც, მაგრამ შემდეგ შეძლო ანგარიშის გათანაბრება. 7 პარტიის შემდეგ ადამსი კვლავ წინ იყო, მაგრამ ტივიაკოვმა კიდევ ერთხელ აღადგინა წონასწორობა — 4:4. ასეთ ვითარებაში დაინიშნა დამატებითი პარტიები შეკვეცილი კონტროლით, რომლებიც ადამსის წარმატებით აღინიშნა.

მაშ ასე, პროფესიული საკადრაკო ასოციაციის ვერსიით რჩება 4 პრეტენდენტი: კასპი, ანანი, შორტი და ადამსი. ისინი შპოლას სექტემბერში ბარსელონაში გააგრძელებენ.

რა ჯდება „ქასპაროვის ფრონტზე“

• კომპიუტერის წამართვის ოქმშია დის ბრძოლის პრობლემა 1500 მს. სრიალში, ქვეყნის ერთ-ერთი უდიდესი მოცუვრე ქალი სეკო ხაშიშოტო 1996 წელს ატლანტის ზღვების ოლიმპიადაზე იასპარეზებს. მას განზრახული აქვს მონაწილეობა მიიღოს ველოსიპედისტთა ასპარეზობაში. სხვათა შორის, ველოსიპედისტთა ოლიმპიურ ტურნირში მან ორჯერ სცადა ძალები — სულსა და პარსელანში, მაგრამ ვერაფრით გამოიჩინა თავი. ზამთრის თამაშებში ხაშიშოტო 1984 წლიდან გამოდის. ასე რომ, ატლანტის თამაშებში იასპარეზის სანდოებისა თვის მეშვიდე ოლიმპიადა იქნება.

• ძიუდოს საერთაშორისო ფედერაციის ტექნიკურმა კომიტეტმა დობის მიღებაში აშხილა აზიის ჩემპიონი ქალთა შორის 48 კგ. წონით კატეგორიაში, ჩინელი ტაი ლინი. ამ დანამულისათვის ძიუდოს ეროვნულმა ფედერაციამ მას ორწლიანი დისკვალიფიკაცია მიუსაჯა. საერთაშორისო ფედერაციამ „განაწი“ დაამტკიცა.

• 47 წლის ასაკში ვარდაცივალა ხაფრანგეთის მატლონისტთა ნაკრები გუნდის უფროსი მწვრთნელი დავიდ შორტი, რომელიც კიბოს უკურნებელი სენით იყო დაავადებული. შორტი, რომელმაც ყველაფერი იცოდა თავის ავადმყოფობის შესახებ, ნაკრებ გუნდთან ერთად იმყოფებოდა ლილუ-სამერში ოლიმპიურ ტურნირზე. იქ მისმა ავადმყოფობამ სამი სხვადასხვა ღირსების გილდო მიიღოც. ორი წლით ადრე ალბერტში კი ფრანგმა მატლონისტმა ქალბატონი ოქროს მედლები დაიმსახურეს ესტაფეტში.

• უიმილდონის ტურნირში მოულოდნელი მარცხის შემდეგ მსოფლიოს უდიდესმა ჩოგბურთელმა შტეფი გრაფმა განაცხადა, რომ სასტიკად არის გადაღლილი და ხანგრძლივ დასვენება სჭირდება. მე, — განაცხადა მან, მალეზიანებს ვეცდები, რაც ჩემგურთთან და ჩემს მეტოქეებთან არის დაკავშირებული. ამიტომ მძირუნით სადმე, მუდრო ადგილას უნდა გადავიკარგო. გრაფი მონაწილეობას არ მიიღებს ფედერაციის თვის გათამაშებაში, რომლის მოწყობა 18-25 ივლისისთვისაა ნავარაუდები.

• ორი კვირის წინ ავტოკატასტროფაში მოპყვა ცნობილი სპიდვეისტი, მსოფლიოს ექსტრემიონი, შვედი პერ იუნსონი. ექიმების განცხადებით მას სერიოზულად აქვს დაზიანებული ხერხემალი. მაგრამ მდგომარეობა არ არის უიმედო და ადვილი შესაძლებელია გარკვეული დროის შემდეგ 2 წლის ავტომობილისტი სპორტს დაუბრუნდეს.

• მსოფლიოს ექსტრემიონი კრივი ევანდერ პოლიფილიდი თავს გაცილებით უკეთ გრძობს. მაიკლ მურერთან ბრძოლის შემდეგ მას გულს მძიმე დაავადება დაუდგინდა, მაგრამ მოკირვემ გაიარა მკურნალობის საუკეთესო კურსი. მიზართა ექსტრემისის დახმარებასაც და, როგორც იტყვიან, მდგომარეობიდან გამოძვრა. ყოველ შემთხვევაში განმეორებითმა ანალიზმა დაადასტურა, რომ მისი გული გაკოლებით უკეთ მუშაობს. პოლიფილიდი თავის საოჯახო მრთოლებას დმერთის წყალობით ხსნის და საფაროდ აცხადებს, რომ თუ დმერთის თანხმობა იქნება, კრივაც უსაუფოდ დაუბრუნდება.

• ფრენურთის საერთაშორისო ფედერაციამ დაასახლა გასული სეზონის საუკეთესო სპორტსმენთა გავრცელება. ვაჟებში ესაა ბრაზილიელი ფრანკ ვაგო, ქალბებში — კუბელი რეგაა ბელი. გამოავლინეს წლის საუკეთესო მწვრთნელები: უზენიო ხორხე (კუბის ქალთა ნაკრები) და არგენტინელი ხულიო ველასკო (იტალიის ვაჟთა ნაკრები), აგრეთვე უდიდესი მსაჯი — ტაკიასი შიშიოა (იაპონია).

• ნლვანდელ „ტურ დე ფრანსში“, რომელიც 2 ივლისს დაიწყო ლილუში და ფინის ხაზს 24 ივლისს გადაკვეთს პარიზში, პირველად მონაწილეობს ცნობილი ინგლისელი ველოსიპედისტი, ოლიმპიური ჩემპიონი გამოდენებით ინდივდუალურ რბოლაში კრის ბორტმენი. მას, რა თქმა უნდა, არა აქვს რბოლის მოგების იმედი, მაგრამ ცალკეულ ეტაპებზე გამარჯვებას არ გამოიციხავს.

• აშშ-ს ფიგურული ციგურაობის ასოციაციამ ტონია პარდინგს ჩამოართვა ქვეყნის ჩემპიონის ტიტული. ალბათ გახსოვთ, რომ მან სამარცხვინო თავდასხმა მოახყო თავის მოავარ კონკურენტზე ნენსი კერაგანზე და მწვრთნელთან კონტრაქტი ვერაფრით ერთი წლით გააფორმა. ადრე ამ თანამდებობაზე მუშაობდა ივან პლინკა. ბუკანი ჩხოლოვაკის გუნდს წევრად და 1980-85 წლებში მისი ხელმძღვანელობით ქვეყნის ნაკრებმა ერთხელ (1985) მსოფლიო ჩემპიონის ოქროს მედლები მოიპოვა.

რა ჯდება „ქასპაროვის ფრონტზე“

შთაბაჭრილობის ლოგო

მსოფლიოს XV საფეხბურთო ჩემპიონატზე დათვრდა პირველი ეტაპი — მეთექვსმეტედღიანი თამაშები გუგუხეში, განვლილ სასტარტო მდღეებში, საწყისი ეტაპის ნერვიულობაში, პირველი მატჩების ურთიერთინცნობაში, საზღაურად ყველამ ის მიიღო, რაც დასასურა, შიშმა ის, რაც დათვრა, რისი პოტენციალი გააჩნდა, რა ძალები ეტაპი.



ახლა, როცა ეს უდიდესი შეჯიბრება გადამწყვეტ, დასკვნით ფაზაში შევიდა და ჩემპიონობის ძნელი მწვერვალისკენ მხოლოდ ელიტა, მხოლოდ უძლიერესი მიემართებიან, შეგვიძლია ვთქვათ: მთხდა თუ არა რამესაგანგებო მოვლენა, ექსტრარდინარული ამბები, რომლებსაც ფეხბურთის მოყვარულნი სენსაციებს ვუწოდებთ, რომლებიც მუდამ გვანცვივებენ და გვაღელვებენ?

ის მომეკა, რაც დათვრა და თუ კოლუმბია, რუსეთი, კამერუნი, კორეა, საბერძნეთი და სხვანი თამაშავე მდგომარეობაში აღმოჩნდნენ, ეს არც გასაკვირია და არც მოულოდნელი. რაც ხარ, ისა ხარ, თავს ზემოთ ძალა არ არის, ვერ დავისახებლებთ ვერც ერთ ისეთ გუნდს, რომლის პირველი ეტაპის მერე გამოთიშვა სერიოზულ ჩაფიქრებად ღირდეს, ან რამე რეალურს წარმოადგენდეს, უფრო გასაკვირი და დასაინახი ის იყო, შესაჩვენებელი შარშან რომ ვერ გავრთვეს თავი ინგლისმა, საფრანგეთმა, ურუგვაიმ, დანიამ, პორტუგალიამ, რომლებიც მარტოოდენ შინაური ტელევიზიის შემყურენი დარჩნენ. ეტყობა ბრაზილი თვით მათივე, მათი მომზადების დონისა და შეცდომების ბრაზილი და არა სხვა რამ ანაზღაურებ მოვლენებისა.

გაძვრა ფინალში და აქედან მთელი მისი ავლადილება 1990 წლის გათამაშების მერვედღიანალი მოხვედრა იყო. ესაა კოლუმბიელთა ალფაც და ომეგაც, თავიც და ბოლოც, აქაურ ფეხბურთელებსაც მანცინდამინც პრესტიჟული სახელი არ დაუმიკვიდრებიათ საერთაშორისო ფეხბურთში. ვინ შეიძლება გამოვარჩიოთ? ვთქვათ, ადოლფო ვალენსია (თამაშობს მიუნხენის „ბაიერნიში“), ფაუსტინო ასპირილია (იტალიის „პარმა“) და, ვგონებთ, ამით ამოიწურა, სულ ესაა. მაგრამ ჩვენ ყველანი შეცდომაში შეგვეყვანა ბრაზილიელმა პელემ, რომლისაც, გინდა, არ გინდა, ყველას გვეკრა. მან საქვეყნოდ განაცხადა, რომ საერთაშორისო საფეხბურთო კამპიონატზე თურმე გამოჩენილა ახალი გიგანტური სუპერგარსკევალი, ჰემსარიტი-ფავორიტი — კოლუმბია, რომელსაც, არც მეტი, არც ნაკლები, ოქროს მედლებისთვის ბრძოლის რეალური შანსი აქვს.

ჩემპიონატის ტაბლო (წინასწარი ეტაპი)

ჰოლანდია — მაროკო 2-1, გოლები: ბერგკამპფი, როი (ჰოლანდია), ნადერი (მაროკო).
ნიგერია — საბერძნეთი 2-0, გოლები: ფინიდი ჯორჯი, ამოკაში.
არგენტინა — ბულგარეთი 0-2, გოლები: სტოიჩკოვი, სირაკოვი.

წინასწარი ეტაპის გათამაშების საბოლოო ცხრილები:

„A“ ჯგუფი						„D“ ჯგუფი							
ტ.	მ.	ფ.	გ.	ბ.	ქ.	ნიგერია	3	2	0	1	6-2	6	
რუმინეთი	3	2	0	1	5-5	6	ბულგარეთი	3	2	0	1	6-3	6
შვეიცარია	3	1	1	1	5-4	4	არგენტინა	3	2	0	1	6-3	6
აშშ	3	1	1	1	3-3	4	საბერძნეთი	3	0	0	3	0-10	0
კოლუმბია	3	1	0	2	4-5	3							
„B“ ჯგუფი						„E“ ჯგუფი							
ბრაზილია	3	2	1	0	6-1	7	ჰოლანდია	3	2	0	1	4-3	6
შვეიცია	3	1	2	0	6-4	5	საუდ. არაბ.	3	2	0	1	4-3	6
რუსეთი	3	1	0	2	7-6	3	ბელგია	3	2	0	1	2-1	6
კამერუნი	3	0	1	2	3-11	1	მაროკო	3	0	0	3	2-5	0
„C“ ჯგუფი						„F“ ჯგუფი							
გერმანია	3	2	1	0	5-3	7	მექსიკა	3	1	1	1	3-3	4
ესპანეთი	3	1	2	0	6-4	5	ირლანდია	3	1	1	1	2-2	4
კორეა	3	0	2	1	4-5	2	იტალია	3	1	1	1	2-2	4
ბოლივია	3	0	1	2	1-4	1	ნორვეგია	3	1	1	1	1-1	4

მხატვრის შემოქმედება



— კოლუმბია: თქვენ აქ, საიდან? მხატვრის მუშაობის ნახატები.

რთული კატაკლიზმები, რაც რუსულ ფეხბურთში მოხდა ზედ მსოფლიო ჩემპიონატის წინა პერიოდში. ყველამ, ვინც კი დაინტერესებულია და საქმეში ჩახვედრილი, კარგად იცის. მტერს და ავს რა ორბიტორალიც იქ სულფვედა ამ უძენლესი შეჯიბრებისთვის მზადების პერიოდში ნაკრების წამყვანმა ფეხბურთელებმა (კირიაკოვი, კოლიგანოვი, კანჩელსკისი, შალიმოვი, დობროვოლსკი და სხვანი) ამბობი ატეხეს, პრეტენზიები წამოაყენეს, საგანგებო მოთხოვნები გააშინდნენ, მთავარი მწვერთხელს პ.საღირისს მკაცრი ბოიკოტი გამოუცხადეს და კატეგორიულად მოითხოვეს მისი გადადგომა. პ.საღირისმა არ დათმო, მას რუსეთის საფეხბურთო კავშირის თავმჯდომარემ, ცნობილმა პოლიტიკურმა ინტრიგანმა ვ.კოლოსკოვმა დაუჭირა მხარი, სისტემაში გამოუცხადდა მეამბოხეებს და რუსეთის ნაკრებიც, ჯერ ისედაც რა იყო, აშკარად დასუსტებული, განახევებული შემადგენლობით გაემგზავრა ამერიკას. გაემგზავრა და რაც გააკეთა, თქვენც კარგად ნახეთ, თანაც ნურავის შეცდომაში შეიყვანეს ქვეყნის ბოლო შეხვედრაში კამერუნელებთან მოპოვებული გამარჯვება, თუნდაც, ანგარიშით 6-1. ეს ისტორიის დონეზე ნათამაშეი მატჩი იყო, ოლეგ სალენკოს სარეკორდო მანქანებელიც მხოლოდ აშლილი ნერვების საფხანი საშუალება განსაზღვრავს მათთვის, ვისაც საამისო სურვილი და განწყობა გააჩნიათ. რუსეთმა კარი გაიჭაბუნა ტურნირის დასასრულს, — ამბობენ ისინი. გაიჭაბუნა და გაიჭაბუნა. ერთ რუმელიმ მატჩში „კარის გაჭაბუნება“ დიდი ვერაფერი გმირობაა, იმ, მერვედღიანალი კი გუნდი

ნებაჭიური ნახატები

მარადონას კაუსის გარდა მსოფლიო ჩემპიონატთან დაკავშირებით სხვა ერთობ უსამოგო ნებაჭიური ამბებიც ხდება.

● ბრაზილიელ ფეხბურთელებს თავიანთ ქვეყანაში მკაცრად აკრიტიკებენ, აკრიტიკებენ გულშემატკივრებიც, პრესაც, ტელევიზიაც, მიომზილველებიც. ამის მიზეზია ის, რომ ბრაზილიის ნაკრებმა შევციის გუნდთან ჯგუფურ შეხვედრაში მხოლოდ ერთი ქულა აიღო (1-1), ეს კი ბოიკოტიონერებს ყოვლად დაუშვებლად მიაჩნიათ. მთავარ მწვერთხელის კარლოს ოლმერტო პარეირასგან მოითხოვენ გამარჯვებებს, მხოლოდ და მხოლოდ გამარჯვებებს, შესაძლებლობათა სრულ მაქსიმუმს. აქ კი — ფრე.

● ამერიკის შეერთებულ შტატებში ჩემპიონატის მატჩებზე უამრავი მაყურებელი მოდის, ამას ყველანი ვხედავთ. მაგრამ თუ აქამდე ბილეთების რაღაც გარკვეული რაოდენობა მაინც იყო დარჩენილი სალაროებში, მერვედღიანიდან დაწყებული გასაყიდი ბილეთები, საერთოდ, აღარ არის. ანშლაგი სრული!

● სამწუხარო ცნობა მოვიდა კოლუმბიიდან: მას შემდეგ, რაც კოლუმბიელებმა „ა“ ჯგუფში ორი შეხვედრა წააგეს და სულ ერთი მოგებით ბოლო ადგილი დაიკავეს, ხელმოცარული გუნდი იძულებული იყო დაბრუნებულიყო შინ. გაცხარებულმა გულშემატკივრებმა საბოროტესტი მანიფესტაციები მოაწყვეს, ბოიკოტი გამოუცხადეს ნაკრების წევრებს და გაუფიქრებელი ვანდალური აქციაც ჩაიდინეს: თავაშეხებული ექსტრემისტები მანქანაში თავს დაესხნენ გუნდის ცნობილ მკვლელს, 27 წლის ანდრეს ესკობარს (პე2), რომელიც „ნასიონალიში“ თამაშობს, ტყვიებით დაცხრილეს და სიცოცხლეს გამოასალმეს იგი.

● რუსეთის გუნდის თავდამსხმელი სერგეი იურანი (თამაშობს პორტუგალიის „ბენფიკაში“) არ გამოცხადდა გუნდის მორიგ ვარჯიშზე, რის გამოც იგი გარტყეს ნაკრებიდან.

● გერმანიის ნაკრების ნახევარმცველმა შტედან ვენდმერგმა უხამსი ყესტით მიმართა მაყურებლებს, გუნდის ხელმძღვანელობამ ეს არ აბატიდა გარიცხა ნაკრების შემადგენლობიდან.

● რუმინეთის გუნდის თავდამსხმელი 26 წლის იოან ვლადიო ასევე უღირსად მოიქცა თავის გუნდში, ამიტომაც თვით ფეხბურთელებს მოთხოვნით მასაც დაატოვებინეს ნაკრების რიგები.

● ირლანდიის ნაკრების მთავარი მწვერთხელი ჯეკი ნარლტონი ერთ-ერთ მატჩში თავს შეუკავებლად შეცვალა და არ ემორჩილა გუნდის მთავრის საერთაშორისო ფედერაციის წარმომადგენლებს. ამის გამო მას ერთი მატჩით აუკრძალეს სათადარიგო მოთამაშეთა სექტორში ყოფნა — საკმაო თანხითაც დააჯარიმეს.

● რუსეთის საფეხბურთო კავშირის მეთაური ვიანესლავ კოლოსკოვი კვლავ ვიბილეთ ტელევიზორის ეკრანზე. კორესპონდენტთან საუბარში მან განაცხადა, რომ რუსეთის გუნდის წარუმატებლობა განვილილ შეჯიბრებაში იმის შედეგია, რომ მოთამაშეებს, თურმე, არა აქვთ დიდი სარბიელზე გამოსვლის გამოცდილება და საკმარისი მობილიზაციის უნარი. აი, კამერუნთან რომ ვითამაშეთ, ისე რომ გეპროვლა ბრაზილიისა და შევციის გუნდებთან, სულ სხვა შედეგი გვექმნებოდა. ფრად „ორი-გინალორი“ არგუმენტი, არა? და ეს მაშინ, როცა რუსეთის ნაკრების 24 მოთამაშე 12 უცხოეთის ცნობილ პროფესიულ კლუბებში გამოდის (სესპანიოლი, „ბაიერი“, „რესინგ“, „ლოგრონესი“, „ფრაიბურგი“, „ჩელსი“, „ბენფიკა“ და სხვა). ნუთუ მათ გამოცდილება აკლიათ?

ნდი ვერ გავიდა. მთავარი მიზანს ვერ მიღწია და შინ კულდამოძულელი დაბრუნდა. ძველი დრო იყო, კარგად მოგეხსენებათ ვ.კოლოსკოვსა და პ.საღირისს რა დღეც დაატეხებოდათ ზედა გომი ინსტანციების ვიდეოტელეკონფერენციებით კი ლაპარაკია იმაზე, რომ პავლე საღირისს ნაკრებთან კონტრაქტი 1996 წლამდე აქვს დადებული და მან, თურმე, სერიოზულად უნდა იზრუნოს ეროვნული გუნდის ევროპის ჩემპიონატისთვის რიგინად მოსამზადებლად. ენახოთ, ენახოთ... აღდგომა და ხვალაო.

მსოფლიოს XV ჩემპიონატის შეხვედრული ფუნქციონალი პაპანაქების ვითარებაში მიმდინარეობს. თამაში უაღრესად ჭირს 35-40 - გრადუსიანი ხეატის პირობებში, ჭირს, ძალიან ჭირს. ფეხბურთელებს რა უნდა მოეზონოვოთ, როცა რამდენიმე მაყურებელი საავადმყოფოებში გაამწყსეს მზის დაკერის გამოისობით, დაახლოებით 140-მდე გულშემატკივარს ექიმებმა სასწრაფო დახმარება აღმოუჩინეს უშუალოდ ტრიბუნებზე. ამ ტროპიკულ პაპანაქებაში მინდორზე თავგულმოგულყოილი სირბილი კი არა, ტრიბუნის ჩრდილში ჯდომაც ჭირს, მაგრამ მაყურებელი მაინც მოდის სტადიონზე. რას იზამ, ფეხბურთის ძალა დიდია.

ჩემპიონატის პირველი შთაბეჭდილებები უამრავია, მაგრამ ამჯერად ამით დაგკმაყოფილდეთ, ვინაიდან მთავარი მოვლენები ვერ კიდევ წინაა: მეოთხედღიანები, მატჩი მესამე ადგილისთვის და, რაც მთავარია, ფინალი, XV მსოფლიო ჩემპიონატის გადამწყვეტი შეხვედრა, ფინალთა ფინალი, ბოლო აკორდი!

ყურადღება!

ვინც ჯერ კიდევ ვერ მოასწრო „სპორტ-ქსპრესის“ ფურადი დამატების „ფუტბოლის“ შეტყობა (იგი მთლიანად აშშ-ში მიმდინარე ფეხბურთული XV მსოფლიოს ჩემპიონატს ეძღვნება) მაკეთხეთ ბუკლეტის პრედექციის გამარჯვებულს მძღვეი მისამართით: კოსტაქსი №20. აქვე შეიძლება „სპორტ-ქსპრესის“ და „სპორტ-ქსპრესის“ უხვლესი ნომრების შეტყობა. ფასი მეთანხმებით. (უფრო იაფად, ვიდრე სხვა პუნქტებში).

მსოფლიო ჩემპიონატის ტაბლო

13 ივლისი. 23.55. ნახევარფინალური მატჩი.

14 ივლისი. 9.45. ნახევარფინალური მატჩი, მე-2 ტაიმი.

16 ივლისი. 23.25. მატჩი მესამე ადგილისთვის.

17 ივლისი. 0.30. ფინალური მატჩი, მე-2 ტაიმი.

17 ივლისი. „რისინი“

14 ივლისი. 23.30. ნახევარფინალური მატჩი.

15 ივლისი. 10.20. ნახევარფინალური მატჩი, მე-2 ტაიმი.

16 ივლისი. 0.25. მატჩი მესამე ადგილისთვის.

17 ივლისი. 8.25. მატჩი მესამე ადგილისთვის. 23.25. ფინალური მატჩი, 1-ლი ტაიმი.

სპორტის დეპარტამენტი

სპორტის დეპარტამენტი შექმნის დღიდან კვირის გარეშე მუშაობდა, საბოლოო ფუნქცია ამ პერიოდში აპარატის ფუნქციონირებას დაეხმარება. მინისტრთა კაბინეტმა, ამას წინარეგორც ვიწვევბოდი, დაამტკიცა. აღნიშნული და ი, ამ დღეებში, პირველად გაიშარა დეპარტამენტის თ. ჯღდმარის კ. ასათიანის ხელმძღვანელობით.

დეპარტამენტის ყურადღების ცენტრში იყო და, ცხადია, კვლავ რჩება მოთხოვნილი თამაშებისათვის (ატლასი, 1996 წ.) მზადების საკითხი. კონკრეტულად დაამტკიცა თამაშებში მონაწილეობისათვის საორიენტაციო სია, თქვენი საბრტსმენზე კი სპორტის ხელმძღვანელი ორგანოების პასუხისმ

გებელი მუშაები მიამარა კონკრეტული დავალებებით.

საბრტლო ხელოვნების სახეობათა პოპულარობა ჩვენში განუზომლად დიდია, რაც მისასაღებელია, თუმცა, ამ სფეროში ბევრი რამ არის მოსაგვარებელი. სპეციალისტებთან კონსულტაციების შემდეგ, კოლეგიამ განსახილველად გამოიტანა ეს საკითხი. შეიქმნა საკოორდინაციო საბჭო, რომელიც შეიმუშავებს კონკრეტულ წინადადებებს მუშაობაში ხარვეზების დასაძლევად, გამოავლენს მითმასნილ ფედერაციებს და პირვნებებს.

როგორც ცნობილია, ფიზიკური კულტურის სახელმწიფო ინსტიტუტი ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემიად გარდაიქმნა. კოლეგიამ იმსჯელა ამ გარდაქმნასთან დაკავშირებით მინისტრთა კაბინეტის შესაბამისი დადგენილების შესრულების ღონისძიებათა შესახებ. სხდომაზე განიხილა აგრეთვე „საქართველოს რესპუბლიკის დამსახურებული მწვრთნელის“, „საქართველოს რესპუბლიკის საპატრიო მსახური“ წოდებების საკითხი. დამტკიცდა ზოგიერთი ნაკრები გუნდების მთავარი მწვრთნელები, ფიზიკური აღზრდისა და სასწავლო დაწესებულებების სამმართველოს, საქმეთა მმართველების დებულებები. დეპარტამენტის აპარატის მუშაობის რეგლამენტი...

სპორტის დეპარტამენტის კოლეგიამ ფედერაციების წარდგინებით ნაკრები გუნდების მთავარი მწვრთნელებად დაამტკიცა: ძიულდო — ბ. შაიშვილი, სატენდო სროლაში — ტ. ჟღეტი, ტყვიის სროლაში — გ. ბოსტოლანაშვილი, წყალში სტომაში — გ. ელბაქიძე, სინქრონულ ცურვაში — გ. ჯაფარიძე, ცურვაში — კ. რეშეტიაძე, მშვილდოსნობაში — გ. მაკვიციანი.

გვენახავა ევროპის კალათბურთი

ბაიბრტა კალათბურთელთა კრების საკლუბო ტურნირში მონაწილე გუნდების წილისყრა. საქართველოს კლუბებს შევხვდებიან: მალბი. ჩემპიონთა თასი საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი — დინამო კიევი. 29. IX (საბასუბო ატნი 6. X); დილიან რონკეტის თასი. ჯეობა (ქუთაისი) — „ნიკენა“ (კიევი). 28. IX (5. X).

ბაშბი. ჩემპიონთა თასი „ვიტა“ (თბილისი) — „ბროკენი“ (რიგა). 8. IX (14. X); კორანის თასი „თბილისი“ — „სტატია“ (ვილიუსი). 6. IX (14. IX); „კატუსი“ (თბილისი) — „აირფორდესი“ (სამარა). 7. IX (14. IX); „მერანი“ (თბილისი) — „ვიპა-მოსა“ (ოდესა). 8. IX (14. IX).

ახალი ამბების დსტა

საღისუფლებებში მიღწეულია შეთანხმება, რომ 1994 წელს არ მოხდება სპორტული ობიექტების პრივატიზაცია, რათა სპორტული ინფრასტრუქტურის განვითარებაში გაიზარდოს როლი. საერთოდ, პრივატიზაცია გატარდება სპორტის დეპარტამენტის შეთანხმებით, მიუხედავად სპორტული ბაზების უწყვეტი კეთილმოწყობისა. განსაკუთრებით სამინისტროს სისტემის სპორტული ობიექტები პრივატიზაციას არ ექვემდებარება.

კაბინეტი წინაშე მდებარეობს, რომელიც ხელ შეუწყობს სასპორტო რეკონსტრუქციას, საკრთულიდან გამოვა მხოლოდ 6 სპორტსმენი — თავისუფალი სტილის მოჭიდვეები ე. კურტანიძე, თ. თორაძე, დ. სურცია, ძიულდოსტი დ. ხაზაფიშვილი, ძიულდოსტი მ. ყურაშვილი და მკრივე — დ. კანდელაკი (საოუა). ყველა მათგანი თამაშებზე მიწვეულია ადრე ნაწილებზე შედგებით.

საზღვრულ სეროზულად ეკიდებიან ცხენოსნობაში ეროვნული ტრადიციების აღდგენას. ეს საქმე ითვს ენოზისაგან, ცნობილი სპორტული მუშაკის შაქრო ნაწილისა და თაყვანისმცემის. სოფელ კახათში, ამას წინათ, ჩატარდა სპორტული ზეიმი ცხენოსნობის ეროვნულ სახეობებში. ზეიმიდღეებმა მიმართეს ხელისუფლებას და იმედი აქვთ, რომ ცხენოსნობის სპორტის მთავრობის ხელშეწყობით ყოვლისა ცხენოსნობის მიღწევის (ინფორმაცია მოეპოვება სპორტსაზოგადოება „სპორტდენის“ პრეს-ცენტრში).

საღირსებში ორგანიზების გადამწყვეტილებათა შესასრულებლად, რომელიც კრძალავს სახელმწიფო სტრუქტურების მონაწილეთა კომერციულ საქმიანობაში, საქართველოს რესპუბლიკის სპორტის დეპარტამენტმა გააუქმა ადრე დადებული სადამფუძნებლო ხელშეკრულებები შპს „კასთას“, შპს „ორთას“ და „ჯანი-93“-თან. საწესდებო ფონდში შეტანილი თანხები დეპარტამენტს დაუბრუნდება.

ლიტურის სახელმწიფო ინსტიტუტი ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემიად გარდაიქმნა. კოლეგიამ იმსჯელა ამ გარდაქმნასთან დაკავშირებით მინისტრთა კაბინეტის შესაბამისი დადგენილების შესრულების ღონისძიებათა შესახებ. სხდომაზე განიხილა აგრეთვე „საქართველოს რესპუბლიკის დამსახურებული მწვრთნელის“, „საქართველოს რესპუბლიკის საპატრიო მსახური“ წოდებების საკითხი. დამტკიცდა ზოგიერთი ნაკრები გუნდების მთავარი მწვრთნელები, ფიზიკური აღზრდისა და სასწავლო დაწესებულებების სამმართველოს, საქმეთა მმართველების დებულებები. დეპარტამენტის აპარატის მუშაობის რეგლამენტი...

სპორტის დეპარტამენტის კოლეგიამ ფედერაციების წარდგინებით ნაკრები გუნდების მთავარი მწვრთნელებად დაამტკიცა: ძიულდო — ბ. შაიშვილი, სატენდო სროლაში — ტ. ჟღეტი, ტყვიის სროლაში — გ. ბოსტოლანაშვილი, წყალში სტომაში — გ. ელბაქიძე, სინქრონულ ცურვაში — გ. ჯაფარიძე, ცურვაში — კ. რეშეტიაძე, მშვილდოსნობაში — გ. მაკვიციანი.

ფილიპა მანარია

სიკვდილმა მოულოდნელად გამოკვალა კიდევ ერთი სიცოცხლე — წვიდა ჩვენთან დეპარტამენტის პირველი, შესანიშნავი ადამიანი და თავისი ქვეყნის გულმგურავი პატრიოტი ფილიპე მელქისედეკის ძე მანარია.

ფ. მანარია, როგორც დახვეწილი გემოვნების ჟურნალისტი, კარგად იცნობდა ფართო საზოგადოებას საინტერესო პუბლიკაციებით, სპორტულ სამყაროში კი მის სახელთან დაკავშირებულია ჩვენი ქვეყნის ფიზიკულტურულ-სპორტული მოძრაობის 1978-1976 წლების სამწლიანი ისტორია, როცა იგი საქართველოს ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარედ მუშაობდა სპორტი მისთვის უცხო სფერო არ ყოფილა, ყმაწვილობიდან იცნობდა ფეხბურთს და დიდხანს ითამაშა ტავის ბურთის ოსტატად გვერდით შობლობურ ბათუმის „დინამოში“ როგორც მარჯვენა მცველმა. სპორტში პარტოულ თანამდებობებზე მუშაობის შემდეგ მოვიდა, პენსიაზე გასულსაც გული ისევ სპორტისკენ მიუწევდა — უნაგროდ, საზოგადოებრივ საწყობებზე ჩაღვდა სათვეში საქართველოს სპორტის დეპარტამენტთან შექმნილ სპორტის ცენტროლოპედიის შედგენის პატრიოტულ



საქმის და სიცოცხლის ბოლო დღემდე მუშის გაკეთება მოასწრო.

ფ. მანარიას ნათელი ხსოვნა დიდ ხანს დარჩება მათ გულში, ვინც მას ახლოს იცნობდა.

სამართლმოს სპორტის დეპარტამენტი, ბაზეთ „ლელოს“ რედაქცია.


გურამ აკობაშვილი

ცნობილი აზიანი, რომ თბილისის ყოფილი 35-ე ვაჟთა საფეხბურთო სკოლაში შესანიშნავი მოთამაშეობით ერთად კარგი მსახიობი იზრდებოდა. მათ შორის ერთ-ერთი პირველთაგანი გახლდათ საკავშირო კატეგორიის მსახიობი, რესპუბლიკის დამსახურებული მწვრთნელი გურამ აკობაშვილი, რომელსაც ამ დღეებში 63 წელი შეუსრულდებოდა.

ფეხბურთელობაზე ოცნებამ გ. აკობაშვილი ახალ შექმნილ 35-სკოლაში მიიყვანა და იგი ა. კუპასელთან, ზ. კალოგვთან, ა. კოტრიკაძესთან და სხვებთან ერთად მეცადინეობდა, მაგრამ ერთ-ერთ თამაშში დაზავდა და საკმაო ხნით ჩამოშორდა ვარჯიშს.

სწორედ ამ დროს სკოლის მოწვევით გან შექმნა ცნობილი მსახიობი ვარლამ შაფიამ მსახიობ მოსამზადებელი ჯგუფი, რომლის აქტიური წევრიც გ. აკობაშვილი გახდა და საშუალო სკოლის დამთავრების ატესტატთან ერთად რესპუბლიკური კატეგორიის მსახიობი იმდროინდელი მილო. მას შემდეგ იგი ჩვენი საფეხბურთო ცხოვრების მუდმივი მონაწილე იყო — მსახიობი საქართველოსა და ყოფილ საკავშირო ასპარეზობებს, მუშაობდა მწვრთნელად ჯერ შობლობურ სკოლაში, შემდეგ კი სპორტსაზოგადოება „კოლმეურნეს“ ცენტრალური საბჭოს მთავარი მწვრთნელი იყო.

ვისაც ეს პრინციპული არბიტრი უნახავს მინდორზე, ემსახურება მისი კვალიფიკური მსახიობი, რისთვისაც მადლიერებით მონიხსენებენ, რადგან მას ღრმად სწამდა, რომ მსახიობი მთავარი დანიშნულება მოთამაშის მიმართ შესაძლებლობის გამოვლენის სა-



შუალბა მისცეს, რასაც მტკიცედ ასრულებდა კიდევ გურამ აკობაშვილი მწიფობარ კაცის ოჯახში აღზრდილი გახლდათ, გამოირჩეოდა მაღალი კულტურით, იყო უღრესად გულსხმიანი მეგობარი და მეოჯახე, ალბათ, სხვაგვარად და სითბოთი აღსაცემი პიროვნება.

გ. აკობაშვილის ხსოვნა მუდამ იცოცხლებს მათ გულში, ვინც ამ შესანიშნავ ადამიანს ახლოს იცნობდა.

სამართლმოს სპორტის დეპარტამენტი, საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია, სამართლმოს ფეხბურთის მსახიობი მსახიობი ოჯახს.

მევიწროებით, ღიებო!

(დასასრული)

ამ საკმაო ხნის წინ ერთ-ერთი უცხოური ურნალიდან გადმოვხედე ფოტოსურათით, სადაც დიეგო მარადონა... ქალის სახელს გახლდათ გამოწვილი, თუმცა, ტანსაცმელი ამას არც ეთქმის: ფეხბურთელს ფეხთ ემოსა კოლეგობები, ტანზე — ბიუსტალტერი, პარკი ჩამოეფხატა. ტურნები პომადით შევლება და მამაკაცის სახეობით ანტაგონისტი სექსის ბრულ რაობას განსახიერებდა. გულახდლად ვიხსენებ, იმ სურათმა ფრიად უსიამოვნო, ამარზუნნი შობაგვიდობა მოახდინა! სავეწროდ სახელმოხვეტილი ფეხბურთელი სახალხოვრ ქალის ტულაზე რომ შედგება, ეს, მოგახსენებთ, ვერაფერი საცქერალოა.

ერთი სიტყვით, მარადონა მუდამ მოურჯულუბელი ვინმე იყო. და აი, ახლა ახალი ამბავიც მას დომინგი მიუღია! საკითხავია, რად უნდა, რა ჯანდაბად და დოზანად უნდა ამ კაცს ამგნენი საშუალება, რამ მიიყვანა იგი ამ ზომამდე, როცა უდომინგოდაც ბრწყინვალედ აკეთებს დიდ საფეხბურთო საქმეებს სახით? ინდივიდუალურა? მაგრამ ფაქტი ფაქტია, ვერსად ნაუხვალ, ანალიზმა დაამტკიცა დომინგი მარადონას სინჯში, იგივე ფაქტი დადასტურა ხელმწიფო ანალიზმა, ვინაიდან ვუდინი, რომელიც მას მიელო, უდავო სამედიცინო რეალობა გახლდათ და ის განმარტება, რომ ფეხბურთელმა უფერინი სურფოს სანიანაზღვრად მიიღო, აბსოლუტურად არაფერს ნიშნავს. მარადონამაც, არგენტინის ნაკრების ექიმებმაც, გუნდის მწვრთნელებმაც მშვენივრად იციან, რომ უფერინი ამკარა სადომინგო საშუალებაა, ამიტომაც სურდის უნდა ებრძოლა სხვაგვარი და არა სპორტმენებისთვის ოფიციალურად აკრძალული ამგვარი პრეპარატებით. ის ვერსია, თითქმის მარადონამ ნინასარ გამოზრახვლად და მიამიტად მიიღო უფერინი, ვერაფერია კრიტიკას ვერ უძლებს. მარტალია, არგენტინელებს მიეზნო ბრაზილიის ნაკრების ექიმი ლიდო ტოლედო, რომელმაც განაცხადა ეს მხოლოდ შემთხვევითი, უბედური მომენტია, მაგრამ ლ. ტოლედომ ისიც აღიარა,

რომ მსგავსი რამ ბრაზილიის ნაკრებში შეუძლებელია მოხდეს, ვინაიდან ამ თითოეულმა ფეხბურთელმა ერთხელ და დაბეჯითებით იცის, რომ უფერინთან „შემთხვევითი“ თამაშ არ შეიძლება, იგი აკრძალული პრეპარატია და აღზრდასაც ახლა შედინა ხელ სხვა საშუალებებით მკურნალობს. გარდა ამისა, არგენტინის ნაკრების ხელმძღვანელობამ მსოფლიო ჩემპიონატის დაწყებამდე ხომ ნარადგინა ხორგანიზაციო კომიტეტში სამედიცინო პრეპარატების სია, იქ უფერინის ხსენებაც კი არაა.

დიეგო მარადონას ამ ახალმა სკანდალმა ფართო გამოხმაურება პოვა. ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის წარმომადგენელმა, მსოფლიო ჩემპიონატის საორგანიზაციო კომიტეტის ხელმძღვანელმა მქეიკელმა ვილერმო კანდემ განაცხადა: არგენტინის ფეხბურთის ფედერაციამ ფიფას ოფიციალური ინფორმაცია მიანიშნა, რომ დიეგო მარადონა მსოფლიო ჩემპიონატის ამჟამად მიმდინარე მსოფლიო ჩემპიონატში და ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციამაც საბოლოოდ დაუსვა ნერტილი ამ სამარცხვინო საქმის ყოველგვარ დისკრინინარულ ასექტს. ფიფას გენერალურმა მდივანმა იოზეფ ბლატერმა საგანგებოდ გაუცხა ხაზი, რომ ამ შემთხვევაში საქმე უნდა არა მარტო დომინგის ბანალურ მიღებას, არამედ ადამიანური ტრაგედიის მორალურ მხარესაც, ვინაიდან ლაპარაკია არა მარტო მარტო უფერინზე, არამედ რთულ ნარკოტიკულ კოქტეილზე, რომელსაც ფეხბურთელმა მიმართა.

დასანანი კია, დიდად დასანანი და სამნუხარი. დიეგო მარადონამ, თუმცა კი იგი 34 წლის ევტერანი გახლავთ, XV მსოფლიო ჩემპიონატის პირველი ეტაპის მატჩებში ბრწყინვალედ ითამაშა, შედეგურების დონეზე. მხოლოდ ის როდია საქმე, რომ იგი არგენტინის ნაკრებს ხელმძღვანელობდა და მართავდა კონკრეტულ მატჩებში, არამედ საფეხბურთო ხელოვნების მწვერვალის დონეზე იდგა. არავის არავითარი პრეტენზია და სამდურავი არ შეიძლება პქონდეს ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის მიმართ. გაისხნეთ, რომ დიეგო მარადონას ფიფამ ერთხელ უკვე გამოუტანა დისკალიფიკაცია კოკაინის მიღებისთვის, იყო ასე-

თი კაზუსი, შემდეგ შეინჯალა გამოუნორებული ნარკომანი ფეხბურთელი და 1992 წლის 30 ივნისიდან კვლავ დართო მინდორზე გამოსვლის ნება. და აი, არგენტინელი ფეხბურთელის მადლობა! უკვე პირველივე მატჩში მისი ახლანდელი დისკალიფიკაციის მერე არგენტინელებმა „D“ ჯგუფში უპირობად ნაგავს ბულგარეთის გუნდთან, მერე — რუმინელებთან. ეს ხომ უმადურობაა ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის, საკუთარი ქვეყნის, მრავალრიცხოვანი თავიანთი მცემლებისა და საკუთრივ არგენტინის ნაკრებში მოთამაშე კოლეგების მიმართ, მიუღი საფეხბურთო სამყაროს წინაშე. დიეგო მარადონა მსოფლიო ჩემპიონატს გამოეყოფა! მისი შემდგომი ბედი ამჟამად გაურკვეველია, 34 წლის ვირტუოს რაღას მოსთხოვ, მაგრამ დღევანდელი საერთაშორისო ფეხბურთის დიდი, დიდი დანაკლისი ცხადია და ამკარაა. მარადონები საუკუნეში ერთხელ იბადებიან!

ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაცია იძულებული იყო „მარადონის კატახტროფასთან“ დაკავშირებით ოფიციალური განცხადება გაეკეთებინა. ფიფას საორგანიზაციო კომიტეტმა არგენტინისა და ნიგერიის 1994 წლის 25 ივნისის ბოსტონში ჩატარებული მატჩის შემდეგ ასეთი დასკვნები გამოიტანა:

1. ფეხბურთელის შარდის ორმა ანალიზმა დადებითი შედეგი აჩვენა, დიეგო მარადონამ, არგენტინის ნაკრების წევრმა, ამით დაარღვია დომინგის მიღების პირობები არგენტინისა და ნიგერიის გუნდების მატჩში;
 2. არგენტინის ფეხბურთის ფედერაციამ ოფიციალურად შეატყობინა ფიფას საორგანიზაციო კომიტეტს, რომ დიეგო მარადონა ექსორციაქნულია მსოფლიო ჩემპიონატის და;
 3. ფიფას გადაწყვეტილება ავტორიტეტულია ამგვარ სადისციპლინო ასექტებში, ამ საკითხის საბოლოო გაურკვევად მარადონას ექრძალება ყოველგვარი საფეხბურთო საქმიანობა.
 4. ფიფას მოქმედი პრინციპებისა და ანალიზური საკითხების იურიდიქციის შესაბამისად თუ გუნდში ერთი მოთამაშე შემჩნულია ნესრიგის დარღვევაში, ფიფადიტი არ ვრცელდება შესაბამისი მატჩის შედეგზე ცი. არგენტინა — ნიგერიის მატჩის შედეგი ძალაში რჩება).
- ყველაფერი ცხადი და ნათელია. დიეგო

შტაფი ბრავოს უნიკალური რეკორდი

უიბლდონის ქალთა ტურნირის 101-წლიანი ისტორია წლებს უნიკალური რეკორდით აღინიშნა. და ვვალზე მუხად გასაკვირი არის ის, რომ რეკორდის ავტორია დღევანდელი მსოფლიოს ჩოგბურთის ყველაზე სტაბილური მოთამაშე გერმანელი შტაფი გრაფი.

რა რეკორდზეა საუბარი, იკითხავთ ალბათ? ახლავ მოგახსენებთ! უიბლდონის

ტურნირი პირველსაკვე წრეში არასდროს „დაუტოვებია“ ჩემპიონს. სწორედ ამიტომ გახლავთ გრაფის „სამწუხარო“ რეკორდი უნიკალური. შეგახსენებთ იმასაც, რომ 138 ოფიციალურ ტურნირში მოსასრულე გრაფი (ამბობენ ეს შედეგაც რეკორდია!) აქამდე მხოლოდ ერთხელ გამოეყოფა ასპარეზობას პირველსაკვე წრეში.

ვინ დაიკავა გრაფის ადგილი წლებ-

მარადონა, სამწუხაროდ, გამოაკლდა მსოფლიოს XV ჩემპიონატს, მისი საბოლოო ბედი უშუალოდ გადაწყდება გათამაშების დამთავრების, ე.ი. 17 ივლისის შემდეგ. მაგრამ კვლავ და კვლავ უ დაივიწყებთ: დიეგო მარადონა უკვე 34 წლის გახლავთ, ამიტომაც, ალბათ, გათავდა მისი უპოქა, გათავდა მისი უპოქაც.

დაბოლოს, ფეხბურთის მოყვარულებს ესა და გვიანდ ეუბნათ კლასიკური ლიტერატურული ფორმულის ტრადიციით: ე, მარადონა, მარადონა, ეს რა ქექ!

იუბილი

- მოდ, რა დავლით!
 - არა, ვერ დავლექ!
 - რატომ?
 - მორიგე ვარ ამდამ, ოთხის სახეგარზე ტელეფონით უფროსი უნდა გაგაღვიძო, ფეხბურთის უკუროს ამერიკიდან.
- ზენი მებალიშვილი

სპორტული ტალეპარანი

- „ოსტანკინო“
- 14 ივლისი. 22.00. ლოტო „მილიონი“.
- 15 ივლისი. 11.20. ნიბრსნობა, მენლესი რეგატა:
- 16 ივლისი. 23.10. დიდი ფეხბურთის გაელვებანი.
- 17 ივლისი. 8.15. ოლიმპიური დილა. 8.50. სპორტოტო. 22.50. სპორტული უიქენდი. 0.15. დიდი ფეხბურთის გაელვებანი.
- „როსია“
- 16 ივლისი. 16.30. ფეხბურთი უსაზღვრებოდ.
- 17 ივლისი. 10.45. ამერიკის კლასიკური ასოციაციის საუკეთესო თამაშები.